

მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები

კინტრიში ჰესის პროექტის
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში
ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი
გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

8 აპრილი, 2014 წ.

I. „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ მიერ ჩატარებული გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა

2013 წლის 15 ნოემბერს ქობულეთის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა საჯარო განხილვისთვის წარმოდგენილი კინტრიში ჰესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშის განხილვა. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ: „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“, საკონსულტაციო კომპანია „გერგილის“, არასამთავრობო ორგანიზაციებისა (მათ შორის, მწვანე ალტერნატივას) და ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები. შპს „გერგილის“ წარმომადგენლის მიერ გაკეთებული პრეზენტაცია ტექნიკურად გაუმართავი იყო, რის გამოც დამსწრე საზოგადოებამ ვერ მიიღო სრულყოფილი ინფორმაცია პროექტის შესახებ (შეხვედრის მონაწილეებისთვის მეტად რთული იყო პრეზენტაციის სლაიდებზე მოცემული წარწერების გარჩევა); პრეზენტაციის დასრულების შემდგომ გამართულმა დისკუსიამაც ვერ უზრუნველყო საზოგადოების ჯეროვანი ინფორმირება. საჯარო განხილვა, გარდა იმისა, რომ ტექნიკურად გაუმართავი იყო, ცუდად იყო ორგანიზებული: შეუძლებელი იყო კითხვების დასმა და პასუხის მოსმენა ხმაურისა და ხმამაღალი რეპლიკების გამო. პროექტის განმახორციელებელი კომპანიისა და მის მიერ დაქირავებული საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენლები არც კი ცდილობდნენ სიტუაციის მართვას.

საჯარო განხილვის წინა დღეს, მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები იმყოფებოდნენ საპროექტო ტერიტორიაზე და შეხვედრენ პროექტის პოტენციური ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადგილობრივი თემების არაერთ წარმომადგენელს. ამ შეხვედრებმა აჩვენა, რომ კომპანიის წარმომადგენლებს არ გაუწევიათ საკმარისი ძალისხმევა პროექტის გზშ ანგარიშის ხელმისაწვდომობისა და დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებისთვის (მოსახლეობამ დაგეგმილი საქმიანობის და საჯარო განხილვის შესახებ სწორედ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენლებისგან შეიტყო). არც შეხვედრაზე და არც შეხვედრამდე მოსახლეობაში არ დარიგდა პროექტის გზშ-ს რეზიუმე.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, 2013 წლის 15 ნოემბრის შეხვედრის ოქმის დასკვნით ნაწილში, რომელიც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზშ ანგარიშს აქვს თანდართული, აღნიშნული იყო შემდეგი: „საჯარო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანის“ კინტრიში ჰესი-ის დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი დამასაბუთებელი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს“.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეხვედრის ოქმში წარმოდგენილი ეს მტკიცება მცდარი და დეზინფორმაციულია. ამგვარი ქმედებით პროექტის განმახორციელებელი ცდილობს გადაწყვეტილების მიმღები პირების შეცდომაში შეყვანას, რაც, ვფიქრობთ, საჭიროებს შესაბამის რეაგირებას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხრიდან.

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ დაგეგმილი საქმიანობის/პროექტის შემთხვევაში, ისევე როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ამ დრომდე ნებადართული ყველა სხვა პროექტის შემთხვევაში, ცხადია, რომ კანონმდებლობით საზოგადოების, განსაკუთრებით, დაგეგმილი პროექტების ზეგავლენის ქვეშ მოქცეული ადამიანების/თემების ინფორმირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები არააფექტურია. ამასთან, „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული დებულებები არ უზრუნველყოფს საქართველოს მიერ „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ამ სფეროში მართლმსაჯულების საკითხებზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ ორჰუსის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებას.

II. გზმ ანგარიშის შინაარსი, მისი ხარისხი

მწვანე ალტერნატივამ 2013 წლის 9 ნოემბერს პროექტის განმახორციელებელს წარუდგინა შენიშვნები საჯარო განხილვებისათვის წარმოდგენილ გზმ ანგარიშზე. ამ შენიშვნებიდან ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზმ ანგარიშში არაერთი საკითხია გათვალისწინებული და გზმ ანგარიშის ხარისხიც, გარკვეულწილად, გაუმჯობესებულია; თუმცა, ფუნდამენტური შენიშვნები კვლავაც გაუთვალისწინებელია და ამდენად, აქტუალური. ქვემოთ წარმოგიდგენთ შენიშვნებსა და კომენტარებს კონტრიში 3ესის პროექტის ეკოლოგიური ექსპერტიზისათვის წარდგენილი გზმ ანგარიშის თაობაზე.

1. განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშიდან ნათელია, რომ პროექტის ზემოქმედება ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, პრაქტიკულად, ანალოგიურია იმ ზემოქმედებისა, რომელიც აღწერილი იყო 2012 წელსა და 2013 წელს საჯარო განხილვებისთვის გამოქვეყნებულ „კონტრიში-2 3ესის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში“. ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილ გზმ ანგარიშში არ არის შეცვლილი დაგეგმილი 3ესის პარამეტრები და დიზაინი. გზმ ანგარიშში, პრაქტიკულად, მოცემულია იგივე ინფორმაცია, რაც საჯარო განხილვისთვის წარდგენილ გზმ ანგარიშში იყო, იმ განსხვავებით, რომ ანგარიშის ზოგიერთ ნაწილს სათაური აქვს შეცვლილი და დოკუმენტის სხვადასხვა ნაწილშია გაბნეული. საჯარო განხილვისთვის და ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გზმ ანგარიშების შედარებისას, ნათელია, რომ სამწუხაროდ, გასული სამი თვის განმავლობაში პროექტის ავტორებს არ გაუწევიათ მნიშვნელოვანი ძალისხმევა აუცილებელი კვლევების ჩასატარებლად.

2. გზმ ანგარიშის უდიდესი ნაწილი ეთმობა ფონური მდგომარეობისა და 3ესის ტექნიკური მახასიათებლების აღწერას; მნიშვნელოვანი მოცულობა უკავია რუკებსა და ფოტოებს, რომლებიც არასაკმარისი განმარტების გამო, ნაკლებად სასარგებლოა ანგარიშის განხილვისას. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც გზმ ანგარიშები გადავსებულია უსარგებლო, გზმ ანგარიშებისთვის არარელევანტური ინფორმაციით და ჩვენც არაერთხელ მიგვითითებია ანგარიშების ამ ნაკლოვანებაზე, თუმცა, ჩვენს ამგვარ შენიშვნებზე სამინისტრო არასდროს აკეთებს რეაგირებას. ამდენად, ამჯერად აქვე ვითხოვთ, სამინისტრომ წარმოადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით.

3. გაუგებარია, რას ემსახურება გზშ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები და ვინ არის წარმოდგენილი რჩევების/რეკომენდაციების ადრესატი. პროექტის წარმომდგენი - „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“ კი არ უნდა გასცემდეს რეკომენდაციებს, არამედ უნდა იღებდეს ვალდებულებებს, რომლებსაც ნებართვის გამცემი ასახავდა სანებართო პირობებში და მკაცრად გააკონტროლებდა მათ შესრულებას.

4. მიუხედავად იმისა, რომ ფაქტიურად, ორი წელია „მუშავდება“ პროექტის გზშ ანგარიში, დღემდე კვლავ ბუნდოვანია საპროექტო ტერიტორიის **დაცული ტერიტორიებიდან დაშორების საკითხი**. ანგარიშის 9.9.4 ქვეთავში უბრალოდ ნათქვამია, რომ „*საქმიანობის განხორციელების ტერიტორია, კინტრიშის დაცული ტერიტორიების უშუალო სიახლოვეს არ მდებარეობს*“. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჰესის საპროექტო ტერიტორია არ მოიცავს კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს, მნიშვნელოვანია, რომ ნათლად იყოს მოცემული მანძილი გზშ ანგარიშში მოცემული პროექტის არეალსა და დაცულ ტერიტორიებს შორის, რათა სრულფასოვნად შეფასდეს პროექტის ზეგავლენა დაცულ ტერიტორიებზე და დადგინდეს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. საერთოდ არ არის აღწერილი პროექტის ზეგავლენა დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, მითუმეტეს, რომ მდინარე კინტრიში გაედინება დაცულ ტერიტორიაზე და აქ არსებული ჰაბიტატის მდგომარეობაზე დამოკიდებული ნაკრძალში მობინადრე არაერთი სახეობის პოპულაცია (განსაკუთრებით, მიგრირებადი სახეობები). ის გარემოება, რომ პროექტის თავდაპირველმა ინვესტორმა, „აჭარა ენერჯი 2007“-მა პროექტის განხორციელებაზე სწორედ დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვის გამო განაცხადა უარი, აჩენს საფუძვლიან ეჭვს, რომ დაცულ ტერიტორიებთან სიახლოვის და პროექტის დაცულ ტერიტორიებზე ზეგავლენის საკითხი გამიჩნულად არ არის განხილული გზშ ანგარიშში.

5. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ „*სამშენებლო ორგანიზაცია უზრუნველყოფს მუშების მოთხოვნილების 60% საკუთარი კადრებით, ხოლო 40% უნდა იყოს მოწვეული*“. აქვე ვარაუდის სახითაა მოცემული, რომ „*ადგილობრივი მუშების დაქირავება შესაძლებელია მდ. კინტრიშის ხეობაში განლაგებული სოფლებიდან ხუცუბანი, კობი, ჭახათი, ქობალაური და სხვა*“ (გვ. 145). ამ ჩანაწერიდან არ არის საბოლოოდ ნათელი, იღებს თუ არა პროექტის განმახორციელებელი **ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების** ვალდებულებას და თუ იღებს, რამდენი იქნება ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა საერთო რაოდენობაში; ასევე, რა მექანიზმებით იქნება შესაძლებელი დაინტერესებული მხარეებისთვის გადამოწმდეს, რამდენი ადგილობრივი იქნა დასაქმებული პროექტში. მითუმეტეს, რომ ანგარიშის სხვა ნაწილში სხვა მონაცემებია აღნიშნული - გვ. 26 „*აღსანიშნავია მაღალანაზღაურებადი დროებითი და მუდმივი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მაღალი ალბათობა. როგორც მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა გვიჩვენებს, ჰესის მშენებლობისას დასაქმებულთა მხოლოდ 5-10%-ს შეადგენს დედაქალაქიდან და სხვა რეგიონებიდან მოწვეული მაღალკვალიფიციცირებული სპეციალისტები. მომსახურე პერსონალის დანარჩენი 90% (არაკვალიფიციცირებული მუშახელი) კონკურსების გზით შეირჩევა ადგილობრივი მოსახლეობიდან, რომელთაც ჩაუტარდებათ სათანადო ტრენინგები. ადგილობრივების მაღალი წილი იქნება ასევე ჰესის ოპერირების დროს დასაქმებულთა შორისაც*“. ბოლო დროს ჰესების პროექტებთან დაკავშირებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გზშ ანგარიშებში დასაქმებასთან დაკავშირებით მოცემული დაპირებები არ სრულდება. მაგალითად, „დარიალჰესისა“ და „ლარსიჰესის“ მშენებლობაზე, გზშ ანგარიშების თანახმად, ჯამში დასაქმებული უნდა იყოს 250 ადამიანი, ხოლო რეალურად დასაქმებული იყო - 67 (2013 წლის შემოდგომაზე, როდესაც ორივე ჰესის მშენებლობა აქტიურ ფაზაში იყო). გზშ ანგარიშებში მოცემულ მსგავს შეპირებებზე არანაირ კონტროლსა და მონიტორინგს არ ახორციელებენ პასუხისმგებელი უწყებები, რის შედეგადაც ისინი არ სრულდება და მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მისაღებად წარმოებული კამპანიისთვის გამოიყენება. როგორც წესი, დასაქმებასთან

დაკავშირებული საკითხები არ აისახება ხოლმე მშენებლობის ნებართვაში და არცერთი სახელმწიფო უწყება ამ საკითხს არ აკონტროლებს. ეს კიდევ უფრო სამწუხაროა იმის გათვალისწინებით, რომ სწორედ ამ არგუმენტს - „დასაქმებას“, იშველიებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით საზიანო პროექტებზე დადებითი დასკვნების გასაცემად.

6. საერთოდ არ არის წარმოდგენილი პროექტის **მიზანშეწონილობის დასაბუთება**. გზმ ანგარიშში (და ისიც 10.3 ქვეთავში) მოყვანილია შემდეგი ზოგადი დასაბუთება: „საქართველოს ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მოცემულია ჰესების მშენებლობის გავლენის პროგნოზი რესპუბლიკის ეკონომიკაზე. მათი დასკვნის თანახმად ჰესების მშენებლობა დადებით გავლენას მოახდენს არა მარტო რეგიონების, არამედ მთელი საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე. იგი ხელს შეუწყობს საწარმოო ძალთა რაციონალურ განლაგებას, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას, განსაკუთრებით გაზრდის მოსახლეობის შრომის ანაზღაურებას, ამაღლებს მათ მატერიალურ და კულტურულ დონეს. ჰესის მშენებლობა არა მარტო ფულადი შემოსავლის ზრდას უზრუნველყოფს, არამედ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მომსახურების სფეროს განვითარებას“. ეს ჩანაწერი, რომელიც ძალზე ჰგავს საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოდან ამონარიდს, არაფრისმთქმელია თავად კინტრიშის ჰესის პროექტის დადებითი მხარეების წარმოჩენისათვის, თუ ასეთი არსებობს.

ანგარიშის 26-ე გვერდზე აღნიშნულია - „კინტრიში 2 ჰესის მშენებლობა და ოპერირება მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მუნიციპალიტეტის, კერძოდ სოფელ ქობალაურის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში. ქონების გადასახადების სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შევა მნიშვნელოვანი თანხები“. სოფელ ქობალაურს არანაირი ბიუჯეტი არ გააჩნია და შესაბამისად, ეს შესაძლო სარგებელიც საფუძველსაა მოკლებული.

არ არის ნათელი, რა მიზანს ემსახურება პროექტი და რა კონკრეტულ სარგებელს მოუტანს მისი განხორციელება ქვეყანას, რეგიონს, პროექტის უშუალო სიახლოვეს მცხოვრებ მოსახლეობას (პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ზეგავლენა საერთოდ არ არის შეფასებული). მითუმეტეს, ანგარიშში საერთოდ არაა განხილული პროექტის ზეგავლენა იმ მოსახლეობაზე, რომელიც საპროექტო მონაკვეთში სარგებლობს მდინარე კინტრიშის წყლით, მათთვის პროექტის შედეგად მიყენებულ ზიანზე და კომპენსაციის მექანიზმებზე. ანგარიშში უბრალოდ, ნახსენებია ფაქტი (9.1.1. გვ. 71 - სხვა წყალმოსარგებლები): „მდინარის წყალი სუფთაა, გამჭვირვალე და წყალმცირობის პერიოდში სასმელად ვარგისია. მდინარე გამოიყენება სოფლის წისქვილების სამუშაოდ“. დერივაციის მონაკვეთში ბუნებრივ კალაპოტში წყლის ნაკადის შემცირებით გამოწვეული კონფლიქტი, ჰესსა და სხვა წყალმოსარგებლებს შორის, გარდაუვალი იქნება.

ამ ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია საზოგადოებამ და გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა შეაფასონ, რამდენად ღირებულია კინტრიშის ჰესის პროექტი ეკონომიკური თვალსაზრისით, მისი უარყოფითი შედეგების გათვალისწინებით.

კინტრიშის ჰესის პროექტის მიზანშეწონილობაზე მსჯელობისას, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკს (KfW) შორის დადებული ხელშეკრულების მიხედვით, გამოყოფილია 8,2 მილიონი ევრო საქართველოს დაცული ტერიტორიების, მათ შორის, კინტრიშის დაცული ტერიტორიების შესაძლებლობათა გაძლიერებისთვის. ჩვენი აზრით, ჰესის პროექტის განხორციელება ხელს შეუშლის გერმანული მხარის მიერ დაფინანსებული პროექტების წარმატებით განხორციელებას. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში სამინისტრომ არ

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები კინტრიშ-2 ჰესის პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე, 8 აპრილი, 2014 წ.

გათვალისწინა ანალოგიური შემთხვევა დარიალ-ჰესის და ყაზბეგი-ჰესის პროექტებთან მიმართებაში (გერმანიის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროგრამა მოიცავს ყაზბეგის ეროვნულ პარკსაც) და ინვესტორების მცდარ მტკიცებებზე დაყრდნობით, გასცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნები. ამ საკითხებთან დაკავშირებით, მწვანე ალტერნატივა უახლოეს მომავალში დასაბუთებულ კვლევას გაუგზავნის გერმანიის მთავრობას.

7. გზმ ანგარიშში მეტად არასრულყოფილადაა განხილული პროექტის **ალტერნატიული ვარიანტები**. ანგარიშის მე-6 ქვეთავში მოცემულია ალტერნატივა პროექტის გარეშე, რეგულირებადი ტიპის ჰესის მოწყობის და დერივაციული ტიპის ჰესის მოწყობის ალტერნატივები. მეტად არაადამაჯერებლადაა წარმოდგენილი ალტერნატივა პროექტის გარეშე. ანგარიშში საერთოდ არაა წარმოდგენილი ტექნოლოგიური ალტერნატივები.

8. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა დაკავშირებულია **ეკოლოგიური ხარჯის** დადგენასთან. სწორედ ამ პარამეტრთანაა დაკავშირებული, რამდენად მნიშვნელოვანი იქნება ბიოლოგიურ გარემოზე ზეგავლენა და რამდენად იქნება შესაძლებელი პროექტის განხორციელება გარემოსდაცვითი მოსაზრებების გამო. ნაცვლად ეკოლოგიური ხარჯისა, სადაც გათვალისწინებული იქნებოდა წყლის ის რაოდენობა, რომელიც არ გამოიწვევდა ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას (რასაც მოითხოვს საქართველოს და საერთაშორისო კანონმდებლობა), გამოყენებულია „სანიტარული ხარჯის“ საბჭოური მიდგომა. იგნორირებულია ეკოლოგიური ხარჯის დადგენის თანამედროვე მიდგომები და მეთოდოლოგია, რის გამოც გზმ ანგარიშის ავტორები მცდარ დასკვნებამდე მიდიან და შესაბამისად, შეცდომაში შეჰყავთ ანგარიშის ხარისხის შემფასებლებიც.

საპროექტო გადაწყვეტის - მდინარის წყლის 90%-ის სადერივაციო არხსა და გვირაბში გადაგდებისა და მდინარეში მხოლოდ საშუალო მრავალწლიური ხარჯის დაახლოებით 10%-ის დატოვების დასაბუთება ეყრდნობა მხოლოდ ტექნოკრატულ მოსაზრებებს (მაგალითად, გვ. 79) და არ ითვალისწინებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზეგავლენის ხასიათსა და მასშტაბს და შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს (კანონები „გარემოს დაცვის შესახებ“, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“, „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ და ა.შ.), ასევე საერთაშორისო მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის დირექტივების (ჰაბიტატების დირექტივა, წყლის დირექტივა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დირექტივა) მოთხოვნებს. არ არის გამოკვლეული და დადგენილი საკმარისი იქნება, თუ არა მდინარეში დატოვებული წყალი მდინარის ეკოსისტემისთვის (და არა მხოლოდ ორაგულისთვის) და კერძოდ, მდინარე კინტრიშზე დამოკიდებული ფლორისა და ფაუნის სახეობებისათვის. ასევე, არ არის გამოკვლეული მდ. კინტრიშის საპროექტო მონაკვეთზე დამოკიდებული წყალმოსარგებლები და რა ზეგავლენას მოახდენს მათზე წყლის დერივაცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომპანიის მიერ წარმოდგენილი განმარტება (გვ.226) არ შეესაბამება სინამდვილეს. მტკიცება, თითქოს „*მდინარის კალაპოტში, ჰიდროტექნიკური ნაგებობის ქვედა ბიეფში სანიტარული ხარჯის სახით საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის დატოვება პრაქტიკულად ემთხვევა ევროპის მრავალი ქვეყნის ნორმატივებით დადგენილ სანიტარული ხარჯის სიდიდეს*“ – არ არის სწორი. ბოლო პერიოდში ევროპის ქვეყნებში ეკოლოგიური ხარჯის განსაზღვრისას მთლიანად ხელმძღვანელობენ ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნებით. ამასთან, თავად კომპანიის მიერ წარმოდგენილი პასუხი კიდევ უფრო ამყარებს ჩვენი კომენტარების სასარგებლო არგუმენტებს: „*სანიტარული თუ ეკოლოგიური ხარჯის სიდიდის დადგენა არ არის მხოლოდ ჰიდროლოგიის დარგის პრეროგატივა. ეკოლოგიური ხარჯის დასადგენად საჭიროა კომპლექსური კვლევების ჩატარება:*

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები კინტრიშ-2 ჰესის პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე, 8 აპრილი, 2014 წ.

ჰიდროლოგიების, ჰიდრობიოლოგიების, იხტიოლოგიების, ჰიდროგეოლოგიებისა და სხვა დაინტერესებული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით. საერთოდ, ეკოლოგიური ხარჯის სიდიდე უნდა განისაზღვროს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსები დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმატიული აქტის საფუძველზე, რომელიც არ არსებობს. რაც შეეხება თევზის მიგრაციის საკითხებს მდინარის კალაპოტში გაჭრილ არხში, ამის შესახებ ამომწურავი პასუხი იქტიოლოგიების პრეროგატივაა და არა ჰიდროლოგიების (გვ.226) . ჩვენი მტკიცებაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ სანიტარული ხარჯი განსაზღვრულია არა კომპლექსურად, არამედ მხოლოდ ჰიდროლოგიური და ენერგეტიკული მოსაზრებებით.

მართალია, საქართველოში არ ხდება მდინარეთა კლასიფიკაცია - კატეგორიებად დაყოფა ხარისხობრივი მიზნების მიხედვით, ასევე, ეკოლოგიური ხარჯი არ მტკიცდება ნორმატიული აქტით (ეს არც არის აუცილებელი და ყველა მდინარისათვის ცალ-ცალკე უნდა დადგინდეს, შესაბამისი კვლევების საფუძველზე), მაგრამ საქართველოს კანონმდებლობა მაინც საკმაოდ ნათლად განმარტავს, თუ რა ხარისხობრივ მდგომარეობაში უნდა რჩებოდეს მდინარე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების შედეგად:

- კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 46. „ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალს და სამიგრაციო გზებს“;
- კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, მუხლი 10. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“. მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“ „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა...“.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ბოლო პერიოდში, USAID-ის ორგანიზებით და თქვენი სამინისტროს თანამშრომლების მონაწილეობით, გაიმართა არაერთი ვორკშოფი. სამწუხაროა, რომ სამინისტროს თანამშრომლებს ვერ ან არ გამოაქვთ სწორი დასკვნები ამ შეხვედრებიდან, რის საფუძველსაც გვაძლევს ყაზბეგი ჰესთან დაკავშირებით მიღებული საბოლოო გადაწყვეტლება. ყაზბეგი ჰესის პროექტის შემთხვევაში, მწვანე ალტერნატივა გითითებდათ შემდეგს: „გაუგებარია, რომელ საერთაშორისო პრაქტიკაზე მიუთითებენ კომპანიის წარმომადგენლები, ვინაიდან არ არის მითითებული არანაირი ლიტერატურული წყარო. ჩვენი მტკიცებების მართებულობა ნათლად გამოჩნდა 2013 წლის 2 ოქტომბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში გამართულ „მდინარის ეკოლოგიური ხარჯის შეფასების სემინარზე“, რომელიც ჩატარდა USAID-ის ორგანიზებით. მსოფლიოში აღიარებული ექსპერტის, UNESCO-IHE Institute for Water Education პროფესორის მაიკლ მაკლეინის (Michael McClain), მოხსენებაში ნათლად წარმოჩინდა, რომ ამ და სხვა გზმ-ებში მოცემული მიდგომა მსოფლიოში გასული საუკუნის 70-იან წლებამდე გამოიყენებოდა მკვეთრად განსხვავდება თანამედროვე მეთოდოლოგიებისგან“. მას შემდეგ კიდევ რამდენიმე შეხვედრა გაიმართა მაიკლ მაკლეინის და სხვა ექსპერტების მონაწილეობით, სადაც დადასტურდა ჩვენი მტკიცების მართებულობა და ჰესის მშენებელი კომპანიებისა და მათი კონსულტანტების პოზიციის მცდარობა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) „საჩივრების განხილვის მექანიზმმა“ განიხილა მწვანე ალტერნატივას

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები კინტრიშა-2 ჰესის პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე, 8 აპრილი, 2014 წ.

საჩივარი ფარავან-ჰესთან დაკავშირებით და აღიარა, რომ ე.წ. „სანიტარული ხარჯი“ არასწორი მეთოდით იყო დადგენილი და EBRD-ის მიერ დაფინანსება არ უნდა გამოყოფილიყო ამ პროექტზე. აქედან გამომდინარე, სამინისტროს ყველა გადაწყვეტილება, რომელიც დაადასტურებს ამ 10%-იანი ხარჯის მართებულობას და გასცემს დადებით დასკვნას, არა მხოლოდ ბიომრავალფეროვნების განადგურებას შეუწყობს ხელს, არამედ ხელს შეუშლის ნებისმიერ ინვესტორს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან ინვესტიციის მოზიდვაში.

ყურადსაღებია ისიც, რომ ჰიდროლოგიური კვლევები ემყარება სოფელ კოხთან მდებარე ჰიდროლოგიური საგუშაგოს მხოლოდ 1941-1990 წლების მონაცემებს, რაც ასევე არ იძლევა მყარი დასკვნების გაკეთების საშუალებას. მდ. კინტრიშის მყარი ჩამონადენის საანგარიშო სიდიდეების დასადგენად გამოყენებულია აგრეთვე ძველი - 1965-1986 წლების პერიოდის მონაცემები. ფაქტიურად, არ არსებობს ბოლო 22-26 წლის დაკვირვების მონაცემები, რაც ანგარიშში წარმოდგენილ გათვლებს სანდოობას უკარგავს (გვ. 71).

მეტად სადავოა, ასევე, ისიც, თუ რამდენად გამართლებულია გათვლების ჩასატარებლად სოფელ კოხთან მდებარე ჰიდროლოგიური საგუშაგოს მონაცემების გამოყენება, იმის გათვალისწინებით, რომ საგუშაგო მდებარეობს მდინარის ქვედა ბიეფში. ამასთან, ზედა ბიეფში მდინარეს ერთვის არაერთი შენაკადი, რომლის ჰიდროლოგიური დაკვირვების მონაცემები ასევე არ არსებობს.

გზმ-ს მიხედვით, 12 თვის განმავლობაში მდინარის კალაპოტში რჩება ერთიდაიგივე რაოდენობით წყალი. თანამედროვე მეთოდოლოგიის მიხედვით, დატოვებული წყლის რაოდენობის მრუდი უნდა იმეორებდეს მდინარის ბუნებრივი რეჟიმის მრუდს, ხოლო კინტრიშის მსგავსი მდინარებისათვის ეკოლოგიური ხარჯი არ უნდა იყოს საშუალო მრავალწლიური ჩამონადენის 35%-ზე ნაკლები.

9. ანგარიშის 7.1.8 ქვეთავში (გვ. 40) აღნიშნულია, რომ „გვირაბის და შტოლნის გაყვანა გათვალისწინებულია სამთო ხერხით. გრუნტის დამუშავება ძირითადად ხორციელდება ბურღვა-აფეთქებით, თუმცა კონტრტაქტორ სამშენებლო ორგანიზაციას შეუძლია გამოიყენოს გვირაბის გაყვანის სხვა მეთოდებიც, კერძოდ TBM“. ამ ღონისძიების ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრებ მოსახლეობაზე საერთოდ არ არის შესწავლილი, არ არის დადგენილი ზეგავლენის მნიშვნელოვნება და არ არის შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები. ანალოგიურად, არ არის შესწავლილი მდინარის კალაპოტის დაღრმავებითი სამუშაოების ზეგავლენა ბუნებრივ გარემოსა და მოსახლეობაზე.

10. **ნარჩენების მართვის** საკითხი გზმ ანგარიშში მხოლოდ თეორიულადაა მიმოხილული. უფრო მეტიც ანგარიშში ნათქვამია, რომ „*ნარჩენების მართვის გეგმა შემუშავებული უნდა იქნეს წინამდებარე პროექტის, როგორც მშენებლობის, ასევე შემდგომი ექსპლუატაციის ფაზისათვის. სამშენებლო ორგანიზაციამ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა შეიმუშაოს ნარჩენების მართვის დეტალური გეგმა*“ (გვ 175). ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ გზმ ანგარიშის ავტორს არც კი უცდია ამ ეტაპზე მისი შემუშავება. ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია საერთოდ არ იძლევა იმის გარკვევის საშუალებას, საბოლოოდ რა დაემართება ამ ნარჩენებს და სად მოხდება მათი საბოლოო განთავსება; აგრეთვე, არ არის მითითებული, თუ ვინ იქნება პასუხისმგებელი წარმოქმნილი ნარჩენის საბოლოო განთავსებაზე.

თუკი პროექტის განმახორციელებელი ნარჩენებს ნაგავსაყრელებზე განთავსებს, მაშინ გათვალისწინებულ უნდა იქნეს ისიც, რომ საქართველოში არსებული ნაგავსაყრელების უმეტესი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ გარემოსდაცვით სტანდარტებსაც კი. ამდენად, აუცილებელია, შესწავლილ იქნეს პროექტის

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები კინტრიშ-2 ჰესის პროექტის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში ეკოლოგიური ექსპერტიზისთვის წარდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე, 8 აპრილი, 2014 წ.

შედეგად წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების ზეგავლენა ნარჩენების განთავსების ადგილებზე და დოკუმენტში ზუსტად იქნეს წარმოდგენილი, ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილი.

11. წარმოდგენილი ანგარიშის მე-9 ქვეთავში წარმოდგენილი „ფლორა და ფაუნა“ - მეტად ზედაპირულია. ის არ შეიცავს სრულყოფილად ინფორმაციას, რომელიც შესაძლებელს გახდის დაგეგმილი პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნებაზე მიმართული საფრთხეების გამოვლენასა და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების დადგენას.

გზმ კვლევისა და შესაბამისად, ანგარიშის მეტად ზედაპირულ ხასიათს ადასტურებს დოკუმენტში მოცემული არაერთი წინადადება, როგორცაა, მაგალითად: 9.10.1 ქვეთავში ნათქვამია „ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, საკვლევ ტერიტორიაზე, თევზებიდან საქართველოს *წითელ ნუსხაში* შეტანილი სახეობებიდან გავრცელებული შეიძლება იყოს: მდინარის/ტბის კალმახი (*Salmo fario*); შავი ზღვის ორაგული (*Salmo Fario labrax*), კოლხური ხრამული (*Capoeta sieboldi*)“.

საველე კვლევებთან დაკავშირებით, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „დეტალური საველე კვლევების შედეგად დაფიქსირდა საქართველოს წითელი ნუსხის შვიდი სახეობა“ - გვ. 120. ყურადსაღებია, რომ ანგარიშში დასახელებული შვიდივე სახეობა დიდი ზომის ხე-მცენარეა; ამდენად, ამ ხე-მცენარეებთან მიმართებაში ფრაზის - „დეტალური საველე კვლევა“ გამოყენება, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია. ის, რომ საველე კვლევა არ ჩატარებულა, ან მეტად ზედაპირული იყო, ზემოხსენებულთან ერთად, მტკიცდება ანგარიშში წარმოდგენილი შემდეგი ჩანაწერთაც: „მშენებლობის წინა ბოტანიკური კვლევების დროს საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეთა სახეობების სია სავარაუდოდ არ გაიზრდება“. არაფერია ნათქვამი, აისახება თუ არა ამ სიის გაზრდა პროექტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე, მის მიმდინარეობაზე ან/და შემარბილებელ ღონისძიებებზე.

ანგარიში არ განასხვავებს, რომელ სახეობებზე არ ექნება ზეგავლენა შემოთავაზებულ პროექტს და რომელი სახეობები აღმოჩნდებიან განსაკუთრებული საფრთხის წინაშე, პროექტის განხორციელების შემთხვევაში. მაგალითად, თითქმის ერთნაირი მოცულობითაა „განხილული“ ხმელეთისა და წყლის ცხოველები. მეტად ზედაპირულადაა წარმოდგენილი პროექტის ზემოქმედება წყლიან ეკოსისტემებზე დამოკიდებულ იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ ცხოველებზე.

ჩვენი აზრით, უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილებულიყო წყლის ჰაბიტატზე სასიცოცხლოდ დამოკიდებულ სახეობებზე, თევზებზე, ასევე ამფიბიებზე, ხოლო ძუძუმწოვრებიდან - წავზე. ამფიბიებიდან, პირველ რიგში, ყურადღება უნდა გამახვილდეს წითელ ნუსხაში შეტანილ კავკასიურ სალამანდრაზე, ვინაიდან მდინარის კალაპოტში წყლის 10%-ის დატოვებას შესაძლოა მოჰყვეს მახლობელი ნაკადულების დაშრობა, რომლებიც ამ სახეობის ჰაბიტატს წარმოადგენენ. ეს კი, გამოიწვევს ამფიბიების პოპულაციების განადგურებას. ზეგავლენის დასადგენად, აუცილებელია მდინარის ხეობის იმ ნაწილის საგულდაგულო გამოკვლევა (მდინარის ორივე ნაპირიდან მინიმუმ ერთი კილომეტრის მანძილზე), რომელიც დერივაციის ზეგავლენის ქვეშ ყვება, რათა გამოვლენილ იქნეს მოწყვლადი სახეობების ჰაბიტატები, დაიგეგმოს სავარაუდო შემარბილებელი ღონისძიებები, ან შეუქცევადი დეგრადაციის შემთხვევაში, გამოტანილ იქნეს უარყოფითი დასკვნა. გარდა ზოოლოგიურისა, ასევე, აუცილებელია ჰიდროლოგიური კვლევის ჩატარება, რათა დადგინდეს, რა ზეგავლენას მოახდენს მდინარე კონტრიშის შენაკადებზე მდინარის დერივაცია. ასეთი კვლევა საჭიროა თევზებისა და წყლის სხვა სახეობების მდგომარეობისა და საფრთხეების განსაზღვრისათვის.

ანგარიშში ასევე მეტად ზედაპირულად და გაუგებრადაა მოცემული შავი ზღვის ორაგულთან დაკავშირებული ინფორმაცია. 9.10.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ „საკვლევ ტერიტორიაზე, საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობებიდან გავრცელებული შეიძლება იყოს: მდინარის/ტბის კალმახი, შავი ზღვის ორაგული, კოლხური ხრამული“. აღნიშნული საკითხი შემდგომ ასევე წარმოდგენილია მე-3 დანართში, სადაც ნათქვამია შემდეგი: „როგორც გზშ-ს ანგარიშშია მითითებული ლიტერატურული წყაროებიდან ცნობილია, რომ ადრე მდ. კინტრიში შემოდიოდა შავი ზღვის ორაგული. თუმცა ამჟამად ეს სახეობა აქ აღარ გვხვდება. ამის თქმის საფუძველს ვვაძლევდა, იქთიოლოგიაში საკმაოდ გამოყენებული გამოკითხვის მეთოდი, რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ. ადგილობრივმა მეთევზე მოყვარულებმა აღნიშნეს, რომ ორაგული კი არადა კალმახის რაოდენობა ისეა შემცირებული, რომ მათ მოსაპოვებლად კინტრიშის ტერიტორიის მაღლა უხდებოდა შესვლა“. ასევე „ორაგულის არსებობა მდ.კინტრიში დასაზუსტებელია ისევე, როგორც სხვა მდინარეთა იქთიოფაუნა მოითხოვს გადამოწმებას“.

ანგარიშის ზემოთ მოყვანილი ნაწილი უბრალოდ კრიტიკას ვერ უძლებს. ვინაიდან შავი ზღვის ორაგულის საბინადრო სხვა მდინარეები სერიოზულად დეგრადირებულია, ზოგიერთი მეცნიერის თანახმად, მდ. კინტრიშა ამ თევზის ბოლო საქვირითე ჰაბიტატია შავი ზღვის აუზში. ამდენად, იმის მტკიცება, რომ თევზის ეს სახეობა მდ. კინტრიშში აღარ გვხვდება, სანდო კვლევებსა და მონაცემებს უნდა ეყრდნობოდეს. მტკიცება აღნიშნულ მდინარეში ამ სახეობის არარსებობის შესახებ მეტად სადავოა, ვინაიდან ყველა არსებული ლიტერატურული წყარო¹ ადასტურებს, რომ მდ. კინტრიში წარმოდგენს ამ სახეობის ძირითად საქვირითე ჰაბიტატს.

გაუგებარია, რას ემსახურება ბატონი თ. ქოქოსაძის მიერ მომზადებული გზშ ანგარიშს თანდართული დასკვნა იქთიოლოგიასთან დაკავშირებით. გზშ ანგარიში უკვე არ ხდის სადავოდ ორაგულის არსებობას და შემოთავაზებული არის შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები. ამასთან თ. ქოქოსაძის ტექსტში მოცემული წინადადება „ორაგულის არსებობა მდ. კინტრიშში დასაზუსტებელია ისევე, როგორც სხვა მდინარეთა იქთიოფაუნა მოითხოვს გადამოწმებას“ - ადასტურებს, რომ გზშ-ში წარმოდგენილი კვლევები არასაკმარისია და ამდენად, შეუძლებელია პროექტზე დადებითი დასკვნის გაცემა.

12. საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებული საკითხები, პრაქტიკულად, მთლიანად კოპირებულია ლარსი-ჰესის გზშ ანგარიშიდან: „ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის შესახებ“ და სხვ.“ „ტყის ეკოსისტემებისადმი მიყენებული ზიანის გაანგარიშება შესაძლებელია მოხდეს ზუსტი პროპორციული თანაფარდობის გაანგარიშებით, რომელიც დაფუძნებულია თანამედროვე მეთოდოლოგიასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკაზე. კერძოდ, „წმინდა მოგების პრინციპის“ და „ჰაბიტატ-ჰექტარის“ მიდგომების მიხედვით. ჰაბიტატ-ჰექტარის შეფასების მეთოდი არის ჩვეულებრივი მიდგომა მცენარეულობის ღირებულების არაფულად ერთეულებში განსაზღვრისას. გარემოს საკომპენსაციო მაჩვენებელი (environmental proxy) (ე. ი. „ფული“, რომლითაც გამოიხატება მცენარეულობის ღირებულება) არის „ჰაბიტატ-ჰექტარი“. ჰაბიტატის შეფასება ხდება ჰაბიტატის უბნების და ლანდშაფტის კომპონენტების რაოდენობის შეფასებასა და შესაბამის წინასწარგანსაზღვრულ „საწყის მდგომარეობასთან“ (ბენჩმარკთან) მიმართებაში. ბენჩმარკები განისაზღვრება მცენარეულობის სხვადასხვა ეკოლოგიური კლასებისათვის (მეკ). ჰაბიტატის ფართობი (ჰა) × ჰაბიტატის ქულა = ჰაბიტატ-ჰექტარი რადგანაც საქართველოში სისტემატურად არ იყენებენ ჰაბიტატ-ჰექტრულ მიდგომას, საჭიროა განისაზღვროს მეკ და ბენჩმარკები“.

¹ იხ. საქართველოს თევზების ანოტირებული ნუსხა: N. Sh. Ninua, B. O. Japoshvili, 2008, Checklist of fishes of Georgia, Proceedings of the Institute of Zoology XXIII Tbilisi, pp. 163- 176.

ეს თავები, ასევე, უცვლელად გვხვდება „შავი ზღვის გადამცემი ხაზის“, ყაზბეგი-ჰესის (გზმ ანგარიშის პირველი ვარიანტი) და ხულონ-ჰესის გზმ ანგარიშებში. კოპირებაზე აშკარად მიუთითებს ეს ფრაზაც: რეპრეზენტატული სანიმუშო ფართობების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც წარმოდგენილი იქნება დაგეგმილი პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (ბსგზმ).

ლარსი-ჰესის პროექტის შემთხვევაშიც, ინვესტორი იღებდა დაზიანებული ჰაბიტატების ექვივალენტური ჰაბიტატების აღდგენის, მცენარეების საკონსერვაციო ცენტრებში გადატანის და სხვა ღონისძიებების გატარების ვალდებულება. ეს წარმოადგენდა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის ერთ-ერთ პირობასაც (გზმ-ს ანგარიშით წარმოდგენილი, შემარბილებელი ღონისძიებების შესრულება მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში). როგორც აღმოჩნდა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ ფლობს არანაირ ინფორმაციას, რამდენად სრულდება ეს პირობები/ვალდებულებები. სამინისტროს წერილის (07.11.13, #2865) თანახმად, „საქმიანობის განმახორციელებელს #28 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირობებით არ აქვს დადგენილი დამატებითი ანგარიშების სამინისტროში წარმოდგენის ვალდებულება“. ეს გარემოება კიდევ უფრო სამწუხაროა იმის გათვალისწინებით, რომ როგორც აღვნიშნეთ, სხვადასხვა საქმიანობასთან დაკავშირებულ გზმ ანგარიშებში ზუსტად მეორდება ზემოთ მოყვანილი წინადადებები, რომლებითაც დადგენილია ლარსი ჰესის ვალდებულებები (მათ შორის, ყველზე მასშტაბურ - ხულონ-ჰესის პროექტში). როგორც ჩანს, საქმიანობის განმახორციელებლები იმედოვნებენ, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ტრადიციულად, არ შეამოწმებს სანებართვო პირობების შესრულების მდგომარეობას. ეს გარემოება ხელს ასევე უწყობს იმას, რომ ინვესტორებმა და საკონსულტაციო კომპანიებმა არ გაწიონ სათანადო ძალისხმევა ხარისხიანი გზმ-ს მოსამზადებლად, ვინაიდან დარწმუნებული არიან (და ასეც ხდება), რომ სამინისტრო აუცილებლად გასცემს დადებით დასკვნას, თუნდაც კანონმდებლობის მოთხოვნების იგნორირების ხარჯზე.

დასკვნა

ამრიგად, წარმოდგენილი პროექტის შედეგად, განსაკუთრებით, დერივაციის მონაკვეთზე ბუნებრივ კალაპოტში მცირე რაოდენობით (დაახლოებით 13%) წყლის დატოვების, ასევე კალაპოტის (მძიმე ტექნიკისა და აფეთქებების გამოყენებით) დაღრმავების გამო, გარდაუვალია „საქართველოს „წითელი წიგნისა“ და „წითელი ნუსხის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონების, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბერნის კონვენციის დებულებების დარღვევა. უფრო კონკრეტულად, დაირღვევა: კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 46. „ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალს და სამიგრაციო გზებს“; კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, მუხლი 10. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“. მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“ „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა...“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესთან და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ დებულებასთან შეუსაბამობის გამო, სამინისტრომ არ უნდა გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.